

## სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი; თანამდებობრივი სარგო-1280 ლარი.

### ფუნქციები:

- ორგანიზაციას უკეთებს და ახორციელებს ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს განსაზღვრავს მათი განვითარების პერსპექტივებს, ირჩევს მეთოდებსა და საშუალებებს კვლევების ჩასატარებლად, ლაბორატორიისათვის წარდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, კერძოდ:
  - სხვადასხვა დანიშნულების და თვისებების რადიაციული- მოდიფიცირებული და ნანოკომპოზიტური მასალების მიღება;
  - მიღებული მასალების ელექტროფიზიკური და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესწავლა;
  - წარმართავს რადიაციული კვლევების ფუნქციონალური ლაბორატორიის მუშაობას, ნ/გ რადიაციული დეტექტორების პროტოტიპების კვლევას;
  - ახალი კლასის მოდიფიცირებული მასალების გამოყენების არეალის განსაზღვრა და რეკომენდაციები;
  - ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების დანერგვა.
- ამუშავებს და წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის დირექტორს და სამეცნიერო საბჭოს ლაბორატორიის პერსპექტიული პროექტების და წლიური გეგმების, ქვედანაყოფის განვითარების, სკს გაუმჯობესების შესახებ;
- ახორციელებს ურთიერთობას პოტენციურ შემკვეთებთან ტექნიკურ საკითხებზე ლაბორატორიის სამუშაოთა შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობს ტექნიკური დავალების, მისი ტექნიკურ -ეკონომიკური დასაბუთების, სამუშაოების კალენდარული გრაფიკის შემუშავებას;
- წარუდგენს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დაგეგმილ სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელ (ლაბორატორიის, ინსტიტუტის პირადი შემადგენლობიდან) პირთა სიას;
- პირადად მონაწილეობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულებაში, აკონტროლებს თანამონაწილეების მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხს;
- ამზადებს საანგარიშო დოკუმენტაციას შესრულებულ სამუშაოებზე.

### კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსის კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსის კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე ([xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge)) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება ([განცხადების ფორმა](#))
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ ფოსტაზე: [xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge) 2021 წლის 25 ნოემბრის 10 საათიდან 30 ნოემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 01 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913